„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომა N2

28 დეკემბერი, 2016

შეხვედრის დასახელება	**„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**28 დეკემბერი, 2016 წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	თანამდებობა
საბჭოს წევრები	
საქართველოს მთავრობის მხარე	
ალექსანდრე ჯეჯელავა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
რევაზ ასათიანი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
ირაკლი მატკავა	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
დამსაქმებელთა ასოციაციების/გაერთიანებების მხარე	
მაია ჩიხლაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ქალ მეწარმეთა ასოციაციის წევრი, კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
მიხეილ ჭელიძე	საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი
დანიელ გახარია	ა(ა)იპ საქართველოს ქალ დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
ირმა დაუშვილი	ა(ა)იპ საქართველოს ქალ დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
დასაქმებულთა პროფესიული კავშირების მხარე	
ირაკლი პეტრიაშვილი	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
ილია ვერძაძე	აჭარის პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
თამაზ დოლაბერიძე	საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირების თავმჯდომარე
ლავრენტი ალანია	საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მშენებელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე
ამირან ზენაიშვილი	საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირების თავმჯდომარე;
გოჩა ალექსანდრია	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხარე	

ირინე ინასარიძე	ასოციაცია „ანიკა"- ს დირექტორი
ბექა ურუშაძე	კოალიცია „განათლება ყველასათვის საქართველო" დირექტორი
ალექსანდრე ეჯიბაძე	პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე
<u>საბჭოს სხვა მონაწილეები</u>	
ნინო ელბაქიძე	პროფესიულ მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი
გიორგი ჭანტურია	კომუნიკაციის ოფიცერი, კოალიცია განათლება ყველასათვის - საქართველო (EFA)
<u>საბჭოს სხდომის მდივანი</u>	
ანა ჩხიკვაძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს დამხმარე სპეციალისტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

<u>შეხვედრის დღის წესრიგი</u>

<u>დრო</u>	<u>შინაარსი</u>	<u>მომხსენებელი</u>
16:00-16:10	სხდომის გახსნა, დღის წესრიგის გაცნობა	**ალექსანდრე ჯეჯელავა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, „პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს" თავჯდომარე
16:10-16:25	პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონპროექტის მიმოხილვა	**თამარ სამხარაძე** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
16:25-16:45	თემის განხილვა	
16:45-17:00	პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი	**ნინო ელბაქიძე** სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიულ მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი
17:00-17:10	თემის განხილვა	

17:10-17:20	პროფესიული განათლების რეფორმა, 2016 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში	**ირინა წეროძე** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
17:20-17:30	სხვა საკითხები	
	შეჯამება	

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბ-ნი ალექსანდრე ჯეჯელავა, მიესალმა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომის მონაწილეებს და ხაზი გაუსვა სხდომებში თითოეული წევრის მონაწილეობის მნიშვნელობას. მისასალმებელ სიტყვაში, შესავლის სახით, ბ-ნმა ალექსანდრემ ისაუბრა პროფესიული განათლების განვითარების მნიშვნელობაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმის გეგმის შესაბამისად, ითვალისწინებს კერძო სექტორთან აქტიურ თანამშრომლობას და პროფესიული განათლების სისტემის მიახლოებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. მანვე აღნიშნა, რომ აუცილებელია გაიზარდოს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ქსელის გაზრდით, ასევე, კერძო სექტორის ჩართულობით, პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსების განხორციელებით.

ბ-ნმა, ალექსანდრემ, მოწვეულ სტუმრებს გააცნო დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა შეხვედრის მომხსენებელს, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ირინა წეროძეს. ქ-ნი, ირინა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან - „პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონპროექტი“ დაკავშირებით განმარტა, რომ შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნება კანონის კონცეპტუალური ხედვა, რომელიც დაედო საფუძვლად კანონის ახალი რედაქციის ჩამოყალიბებას. აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც დოკუმენტი საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც დაიხვეწება, მოხდება მისი გასაჯაროება. კერძოდ, 2017 წლიდან, გაიმართება საჯარო მოსმენები და მუხლობრივად განიხილება დოკუმენტთან დაკავშირებული შენიშვნები და/ან წინადადებები.

საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი -„პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონპროექტის“ - პრეზენტაცია წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ქ-ნმა, თამარ სამხარაძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო -„პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის“ შემუშავების ეტაპები. მისი განმარტებით, პირველ ეტაპზე, მოხდა არსებულის ანალიზი და ახალი ხედვის ფორმირება, შემდგომ მომზადდა კანონპროექტის სამუშაო და ბოლოს, განსახილველი ვერსია. ქ-ნი, თამარის განმარტებით, კანონის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას

პროფესიული განათლების სფეროში და ასოცირების შეთანხმების საფუძველზე, სისტემა გახადოს თავსებადი იმ მიდგომებთან, რომელიც არსებობს ევროპულ ქვეყნებში პროფესიული განათლების მიმართულებით. პრეზენტაციაში ქ-ნმა, თამარმა წარმოადგინა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა განხორციელებასაც კანონმა უნდა შეუქმნას სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ: პროფესიული განათლების სისტემის ხარისხისა და მოქნილობის გაუმჯობესება, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის მოქნილი კავშირის დამყარება, პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის დანერგვა, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის მექანიზმის ჩამოყალიბება და სხვ.

პრეზენტაციაში წარმოდგენილ ერთ-ერთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა პროფესიის სტანდარტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და დამსაქმებელთა გაერთიანებების მონაწილეობას, ბ-ნმა, დანიელ გახარიამ, დამატებით ითხოვა განმარტება, რის პასუხადაც, ქ-ნმა, თამარმა განმარტა, რომ კანონის არსებული რედაქციით პროფესიის სტანდარტის შემუშავებისა და დამტკიცების წესს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესი ღია და გამჭირვალეა, მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა მექანიზმების დახვეწაზე, რათა სტანდარტები მეტად შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამიტომ, სამინისტრო გამოხატავს ინიციატივას, რომელიც მსჯელობის საგანია, კანონში არ განისაზღვროს ეს საკითხი, როგორც ცენტრის პასუხისმგებლობა, არამედ საქართველოს მთავრობას მიეცეს უფლებამოსილება, რომ მან გადაწყვიტოს, აღნიშნული პროცესის წარმართვა დარჩეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქუდქვეშ თუ გადაეცეს გაერთიანებების, სავაჭრო პალატების, ასოციაციების პასუხისმგებლობას. პროფესიის სტანდარტთან დაკავშირებით, კანონი, რომელიც არის ჩარჩო დოკუმენტი, არ ადგენს კონკრეტულად ვინ შეიმუშავებს და ამტკიცებს სტანდარტს, არამედ ამბობს, რომ დამტკიცების წესს განსაზღვრავს მთავრობა, ხოლო შემდგომ უკვე დაინტერესებულ მხარეებთან შეჯერებული რედაქციით აისახება გარკვეულ კანონქვემდებარე აქტებში, თუმცა პროფესიის სტანდარტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტი და საგანმანთლებლო პროგრამა კვლავ დარჩება განათლების სფეროს პრეროგატივად.

ბ-ნი, ირაკლი პეტრიაშვილის, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის, კითხვის პასუხად, არის თუ არა კანონში გათვალისწინებული ჩიხების დაძლევის საკითხი - ცხრა კლასის ბაზაზე, პროფესიულ კურსდამთავრებულთათვის უმაღლესში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის ხელშეწყობა, ქ-ნმა თამარ სამხარაძემ განმარტა, რომ კანონით გათვალისწინებულია იმ პროფესიული პროგრამების არსებობა, რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლება და აღნიშნა რომ სწორედ პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩოს IV დონეა ის საკვანძო საფეხური, რომელიც სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს სრული ზოგადი განათლების ციკლს. შესაბამისად არ იარსებებს საგანმანათლებლო ჩიხები და შეიქმნება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობა.

პროფესიის სტანდარტთან დაკავშირებით, ბ-ნმა ალექსანდრე ეჯიბაძემ, „პროფესიული განათლების ფონდი“-ს გამგეობის თავმჯდომარემ, გამოთქვა მოსაზრება, რომ პროფესიის სტანდარტის შემუშავებას დამსაქმებელთა გაერთიანებები ან ასოციაციები ვერ განახორციელებენ, ამიტომ საჭიროა შეიქმნას მცირე ინსტიტუცია, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა მოწვევითა და მათი აქტიური ჩართულობით მოხდება აღნიშნული პროცედურის უზრუნველყოფა.

ბ-ნი ალექსანდრე ეჯიბაძის მოსაზრების პასუხად, ქ-ნმა ირინა წეროძემ განმარტა, რომ ამჟამად, სწორედ ამ მიდგომით, ექსპერტთა ჩართულობით ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აღნიშნულ სამუშაოებს.

ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა, საკითხთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ უმჯობესია უკვე არსებული ინსტიტუციის გაძლიერება და ასევე, დასძინა, რომ პროფესიის სტანდარტის შემუშავების დროს მნიშვნელოვანია საერთაშორისო მიდგომების გათვალისწინება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება ევროპული მიდგომების შესაბამისად, რათა სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა შეძლოს თვითდამკვიდრება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

ბ-ნმა ალექსანდრე ჯეჯელავამ, სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების პასუხად, საბჭოს წევრებს მოუწოდა, წარმოადგინონ ხედვა აღნიშნული საკითხების დახვეწისა და განვითარების კუთხით და განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მზად არის აქტიურად განიხილოს შემოთავაზებული რეკომენდაციები.

ქ-ნი, მაია ჩიხლაძე, მიესალმა სხდომის მონაწილეებს და ერთ-ერთი კერძო კოლეჯის სახელით გამოთქვა მოსაზრება განხილული კანონპროექტის თაობაზე. ქ-ნმა მაიამ აღნიშნა, რომ ჩიხების დაძლევის საკითხები, რომლებიც პრობლემას უქმნიდა პროფესიული განათლების პროვაიდერებს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას, მოქნილად არის დაძლეული აღნიშნულ დოკუმენტში, ასევე, დადებითად შეაფასა შრომის ბაზრის შესაბამისი, მოქნილი, კომპეტენციებზე დაფუძნებული - მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის პროცესი.

ქ-ნი, ირმა დაუშვილი, მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ მისი კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს გათბობისა და სამონტაჟო სისტემების უზრუნველყოფას, არის შესაბამისი კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რომელთა მოძიებაც შრომის ბაზარზე სამწუხაროდ შეუძლებელია. ქ-ნმა ირმამ განმარტა, რომ აუცილებელია პროფესიული განათლება გახდეს პრესტიჟული, შეიქმნას ახალი პროფესიები, შეიცვალოს მარკეტინგი და მოეწყოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურული გარემო, რათა გაიზარდოს პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა.

ბ-ნი, ირაკლი მატკავა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური კადრები მის მიერ წარმოდგენილი უწყების საჭიროებასაც წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის

ფარგლებში იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც თავისებურად შესაბამისი კომპეტენციების მქონე მუშახელის არსებობას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ყველა არსებული რესურსის მობილიზება, რათა მოკლევადიან პერიოდში მოხდეს პროცესების სწორად წარმართვა. ბ-ნი ირაკლის განმარტებით, განხილული კანონის კონცეფცია და მასში წარმოდგენილი სქემა სწორედ ამის შესაძლებლობას შექმნის. ასევე, დადებითად შეაფასა, კანონპროექტში ასახული ფორმულირება, რის მიხედვითაც მთავრობას უნდა მიეცეს დისკრეცია და შესაბამისი პასუხისმგებლობა პროფესიის სტანდარტის შემუშავებისა და დამტკიცების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

ბ-ნმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ, აღნიშნა, რომ განათლების სამინისტროს, სახელმწიფოს სხვა უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს შორის აქტიური თანამშრომლობით, საჭიროა სწორად განისაზღვროს პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით სამუშაო ძალაზე მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნები, რათა მოხდეს პროფესიული განათლების სისტემის მიახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და კადრების კომპეტენციებით დამსაქმებელთა კმაყოფილება. საბჭოს წევრებს მიმართა, რეკომენდაციებითა და შეთავაზებებით აქტიურად ჩაერთონ რეფორმის განხორციელების პროცესში.

ბ-ნმა, ალექსანდრე ეჯიბაძემ, კანონპროექტთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ კანონის არსებულ რედაქციაში ფორმალური განათლების მხოლოდ დეფინიციაა ჩადებული, არ არის მისი სტატუსი განსაზღვრული, შესაბამისად თუ აღიარება ფორმალიზებული გზით მოხდა, ეს გამოიწვევს არაფორმალური განათლების მოსპობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბ-ნმა, ალექსანდრემ ითხოვა კანონში ფორმალური განათლების დეფინიციის შემუშავების პროცესში ჩართულობა.

საკითხი შეაჯამა ქ-ნმა ირინა წეროძე და საბჭოს წევრებს სთხოვა, კანონპროექტის კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებების საბჭოს სამდივნოსთვის გადმოგზავნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი - „პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი"-წარმოადგინა ქ-ნმა, ნინო ელბაქიძემ. მისი განმარტებით, დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირის პროექტისა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით და მისი განხილვა მოხდა სოციალური პარტნიორებით დაკომპლექტებული, თემატური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. ქ-ნმა, ნინომ საბჭოს წევრებს წარუდგინა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს დამწყები მასწავლებლების პროფესიაში შესვლის; არსებული მასწავლებლების პროფესიული განვითარების, რეგისტრაციის, ანაზღაურების წესისა და სასწავლებლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კოორდინატორების შერჩევისა და საქმიანობის წესის შესახებ საკითხებს. ქ-ნმა, ირინა წეროძემ საკითხთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში გათვალისწინებულია კერძო კოლეჯების მასწავლებელთა ნებაყოფლობითი ჩართვის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრებს, საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და/ან წინადადებები არ გამოუთქვამთ. საბჭომ ერთხმად მოიწონა ახალი მიდგომა და დაამტკიცა წარმოდგენილი დოკუმენტი - „პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი".

ქ-ნმა ირინა წეროძემ, სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო საკითხი და ისაუბრა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისა და მიღწეული შედეგების შესახებ, კერძოდ, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, არაფორმალური განათლების აღიარების, საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის, შეზღუდულ შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინოვაციური სასწავლო გარემოს განვითარების - ფაბლაბების მოწყობის, კერძო სექტორის ჩართვის მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავებისა და სისტემაში დანერგილი ყოველწლიური კვლევების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის მონაწილეებს კითხვები და შენიშვნები არ ჰქონიათ.

შეხვედრა შეაჯამა ქ-ნმა, ირინა წეროძემ

„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს" სხდომის თავჯდომარე

ალექსანდრე ჯეჯელავა

„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს" სხდომის მდივანი

ანა ჩხიკვაძე